მე-8 კლასის საგამოცდო პროგრამა
გერმანულ ენაში

გერმანულ ენაში მე-9 კლასის ბოლოს ჩასატარებელი გამოცდის შინაარსი და სირთულის დონე ეყრდნობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ეროვნულ სასწავლო გეგმას, კერძოდ – საგნობრივ პროგრამას უცხოურ ენებში და პროგრამის შინაარსს გერმანულ ენაში.

საგამოცდო ტესტში წარმოდგენილი საკითხების სირთულის დონე შეესაბამება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ საშუალო-საბაზო საფეხურის sII-ის დონეს და ევროსაბჭოს მიერ დადგენილ ენის ფლობის A^2 დონეს.

ტესტი შედგება სამი სახის დავალებისაგან. ესენია:

1. დავალებები, რომლებიც ამოწმებს გრამატიკულ ცოდნას.
2. დავალებები, რომლებიც ამოწმებს ლექსიკურ ცოდნას და სამეტყველო ფუნქციებს.
3. დავალებები, რომლებიც ამოწმებს განსხვავებული ზომის, შინაარსის და ფორმატის ტექსტის (წერილი, განცხადება, ინფორმაციული სახის ტექსტი, დიალოგი, ა.შ) წაკითხვას და მასში მოცემული ზოგადი აზრის ან დეტალების გააზრებას.

გრამატიკული საკითხების და ლექსიკის შემოწმება მოხდება კონკრეტული კონტექსტის გათვალისწინებით.

დავალებების ტიპი არის მრავალჯერადი არჩევანი; მოსწავლე კომპიუტერის ეკრანზე კითხულობს დავალებას და ოთხი შესაძლო პასუხიდან აღნიშნავს ერთს.

ტესტში შემავალი საკითხების სავარაუდო რაოდენობა არის 50.

გრამატიკული საკითხების ჩამონათვალი

- Nomen: Deklination /Genus/Pluralbildung
- Artikel: Bestimmter Artikel/Unbestimmter Artikel
- Adjektiv: Steigerung
- Zahlwörter: Kardinalzahlen/ Ordinalzahlen
- Pronomen: Personalpronomen, Fragepronomen
- Verb: Zeitformen des Verbs
- Adverb: Temporaladverbien/ Lokaladverbien/ Modaladverbien
- Präpositionen: Präpositionen mit Akkusativ/ Präpositionen mit Dativ /Wechselpräpositionen
- Konjunktionen: Nebenordnende und unterordnende Konjunktionen
- Syntax: Wortfolge im einfachen Satz/Zusammengesetzter Satz(Objektsatz, Kausalsatz)